585
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (238) 20 თებერვალი 1964 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

83. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დიპლომატიურ ურთიერთობათა თაობაზე დადებული ვენის კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

84. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების დარგში თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

85. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უფროს სერჟანტ ა. ზ. ნოჩევკოს წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

86. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. ნ. კედროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

87. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ მ. დ. სინოლოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

88. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის მ. აუეზოვის სახელობის დრამის აკადემიური თეატრის მსახიობ ჰ. ბუკეევასთვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

89. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

90. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ა. კულეშოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

91. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. იუსუპოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

92. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ანტონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

93. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ბუტენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

94. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ა. არზუმანიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

95. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. მ. ჟდანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობები.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

96. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. გორის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ნ. ი. ბიბილაშვილის გათავისუფლებისა და ახალი მოსამართლის არჩევნების შესახებ.

განყოფილება მეორე

97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

98. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბათუმის ბოტანიკური ბაღის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

99. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბათუმის ბოტანიკური ბაღის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

100. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ერისთავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 დიპლომატიურ ურთიერთოგბათა თაოგბაზე დადებული ვენის კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, ხელმოწერილი სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ 1961 წლის 18 აპრილს, რატიფიცირებულ იქნეს ისე, რომ 11 მუხლის I პუნქტს გაუკეთდეს შემდეგი შენიშვნა:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, რომელიც ემყარება სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, მიაჩნია, რომ თუ დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის რაოდენობის საკითხზე წარმოიშვა უთანხმოება, ამ საკითხს შეთანხმების გზით გადაწყვეტენ ის სახელმწიფო, რომელმაც რწმუნებით აღჭურვა დიპლომატიური წარმომადგენლობა, და ის სახელმწიფო, რომელშიც იგი იმყოფება,

და შემდეგი განცხადებით კონვენციის 48 და 50 მუხლების გამო:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს საჭიროდ მიაჩნია მიუთითოს, რომ კონვენციის 48 და 50 მუხლებს დისკრიმინაციული ხასიათი აქვთ, რომელთა გამო რიგ სახელმწიფოს არ შეუძლია გახდეს ამ კონვენციის მონაწილე. კონვენცია რეგლამენტირებას უკეთებს საკითხებს, რომლებიც ეხება ყველა სახელმწიფოს ინტერესებს, და ამიტომ იგი მონაწილეობისათვის ხსნილი უნდა იყოს ყველა სახელმწიფოსათვის. სუვერენული თანასწორობის პრინციპის შესაბამისად არც ერთ სახელმწიფოს უფლება არა აქვს მსგავს კონვენციაში მონაწილეობას ჩამოაცილოს სხვა სახელმწიფოები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 თებერვალი.
№ 2208-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 ატომური ენერგიის მშვიდოგბიანი მიზნებისათვის გამოყენების დარგში თანამშრომლობის თაოგბაზე საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ავღანეთის სამეფო მთავრობას შორის ატომური ენერგიის მშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობიანი მიზნებისათვის გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 5 სექტემბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 თებერვალი.
№ 2209-VI.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 უფროს სერჟანტ ა. ზ. ნოჩევკოს წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებული ბავშვის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ზაქარიას ძე **ნოჩევკო** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 თებერვალი.
№ 2196-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. ნ. კედროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ ნიკოლოზის ძე **კედროვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 თებერვალი.
№ 2197-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 მწერალ მ. დ. სოკოლოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი მიხეილ დიმიტრის ძე **სოკოლოვი** დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 თებერვალი.
№ 2198-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

88 ყაზახეთის მ. აუეზოვის სახელობის დრამის აკადემიური თეატრის მსახიობ ჰ. ბუკეევასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ყაზახეთის მ. აუეზოვის სახელობის დრამის აკადემიური თეატრის მსახიობს ჰადიშე **ბუკეევას** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 5 თებერვალი.
№ 2199-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. ჰავე უსუპის ასულ **თავდგირიძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონის სოფელი ხელვაჩაური.
2. შემსიმე ჰასანის ასულ **ცეცხლაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ჩაქვის რაიონის სოფელი ბობოყვათი.

3. ასკარ ყზი **ფატმას** — კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ყვარლის რაიონი.

4. ვართუშ ხაჩიკას ასულ **ემეკსუზიანს** — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელი ხოლოდნაიარეჩკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 თებერვალი.
№ 2200-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

90 მწერალ ა. ა. კულეშოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი არკადი ალექსანდრეს ძე **კულეშოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 თებერვალი.
№ 2201-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

91 ამხ. ბ. ბ. იუსუპოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სამარყანდის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გაფურ გიიასის ძე **იუსუპოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 თებერვალი.
№ 2203-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

92 ამხ. ვ. ი. ანტონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვასილ ივანეს ძე **ანტონოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 8 თებერვალი.
№ 2204-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

93 ამხ. გ. პ. ბუტენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გრიგოლ პროკოფის ძე **ბუტენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 თებერვალი.
№ 2205-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

94 აკადემიკოს ა. ა. არზუმანიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებასა და კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აკადემიკოს ანუშავან აგაფონის ძე **არზუმანიანი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 თებერვალი.
№ 2216-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

95 პროფესორ ვ. მ. ჟდანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორი ვიქტორ მიხეილის ძე **ჟდანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 თებერვალი.
№ 2217-VI.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობები

გადასაყვანი მანეთებით მრავალმხრივი ანგარიშსწორების და ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის დაარსების თაობაზე დადებული შეთანხმების შესახებ

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების განვითარებისა და გაღრმავების, სავაჭრო და ეკონომიური კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების ინტერესებით, 1963 წლის 22 ოქტომბერს მოსკოვში დადეს შეთანხმება გადასაყვანი მანეთებით მრავალმხრივი ანგარიშსწორებისა და ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის დაარსების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შეთანხმება რატიფიცირებულია 1964 წლის 25 იანვარს.

სსრ კავშირის სარატიფიკაციო სიგელი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნოს შესანახად გადაეცა 1964 წლის 5 თებერვალს.

დროებით შეთანხმება სამოქმედოდ შემოღებულია 1964 წლის 1 იანვრიდან.

შეთანხმება ძალაში შევა იმ რიცხვში, როცა შეთანხმების დამდებ მხარეთაგან უკანასკნელი თავის სარატიფიკაციო სიგელს ჩააბარებს ამ შეთანხმების დეპოზიტარიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 7, 1964 წლის 12 თებერვალი).

*

* *

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ავღანეთის სამეფო მთავრობას შორის ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე 1961 წლის 16 ოქტომბერს დადებული შეთანხმების ოქმის შესახებ

1963 წლის 25 ივლისს ქაბულში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის და ავღანეთის სამეფო მთავრობის რწმუნებით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც აზუსტებს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1961 წლის 16 ოქტომბრის შეთანხმებით გათვალისწინებულ ობიექტების ნუსხას და მხარეების ვალდებულებებს ცალკეული ობიექტების მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შეთანხმება რატიფიცირებულია 1963 წლის 2 დეკემბერს; მისი უდიდებულესობის ავღანეთის მეფის მიერ — 1963 წლის 7 ნოემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1964 წლის 17 იანვარს.

ოქმი ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

ოქმის ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 7, 1964 წლის 12 თებერვალი).

ნაწილი II

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

96 ქ. გორის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ნ. ი. ბიბილაშვილის გათავისუფლებისა და ახალი მოსამართლის არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გათავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **ბიბილაშვილი** ქ. გორის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

2. დაინიშნოს ქ. გორის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1964 წლის 1 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
მ. ლელაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 10 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

97 ამხ. გ. ი. ყანჩაველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროორექტორი პროფესორი გიორგი იოსების ძე **ყანჩაველი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

98 ბათუმის ბოტანიკური ბაღის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, ტროპიკული და სუბტროპიკული ფლორის შესწავლასა და გავრცელებაში ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის **ბათუმის ბოტანიკური ბაღი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

99 ბათუმის ბოტანიკური ბაღის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის საპატიო სიგელით:**

1. ვსევოლოდ ვლადიმერის ძე **ანგელსკი** — ლაბორატორიის გამგე.
2. გიორგი ავდეღანის ძე **გაბრიჩიძე** — სექტორის გამგე.
3. ალექსანდრა ალექსის ასული **დმიტრიევა** — განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. არჩილ ნესტორის ძე **თათარაშვილი** — სექტორის გამგე.
5. დავით ვლადიმერის ძე **მანჯავიძე** — დირექტორი.
6. აშოტ ბაგრატის ძე **მატინიანი** — უფროსი მეცნიერი მუშაკი.
7. თამარ ლაზარეს ასული **სამხარაძე** — უფროსი მეცნიერი მუშაკი.
8. გრიგოლ სიმონის ძე **ტატიშვილი** — უფროსი მეცნიერი მუშაკი.
9. ნიკოლოზ პავლეს ძე **ფურცხვანიძე** — სანერგის გამგე.
10. ნოდარ მემედის ძე **შარაშიძე** — დირექტორის მოადგილე.
11. ალექსანდრე ტერენტის ძე **ციცვიძე** — განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 14 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

100 ამხ. დ. ი. ერისთავის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო- პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დიმიტრი იოსების ძე **ერისთავი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 15 თებერვალი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომას, კომისიის წევრებს გარდა, ესწრებოდნენ: საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. თ. ლაშქარაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ა. ჩხიკვაძე, თბილისის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოხსენება რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ე. ხარაძემ და ვ. მამასახლისოვმა, აგრეთვე პროფ. დ. ავაზაშვილმა, პროფ. ბ. ხვედელიძემ და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

კომისიამ მიიღო დადგენილება საკითხი განსახილველად შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

გამომცემლობა „იზვესტია სოვეტოვ დეპუტატოვ
ტრუდიაშჩიხსია სსსრ“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა და იყიდება

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის

(1963 წლის 16—19 დეკემბერი)

სტენოგრაფიული ანგარიში

(რუსულ ენაზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამოცემა

სტენოგრაფიული ანგარიშის დამატებაში დაბეჭდილია: კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964—1965 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ, კანონი სსრ კავშირის 1964—1965 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ, სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, აგრეთვე პალატების დადგენილებანი.

წიგნის ფასია — 1 მან. 01 კაპ.

სტენოგრაფიული ანგარიში იყიდება

წიგნის მაღაზიებში.